„ჩამჭიდე ხელი და წამომაყენე“

საყვარელო ძმანო და დანო,

ჩვენ კვლავ გვჭირდება, ძლიერი ხმით წარმოვთქვათ: „ქრისტე აღდგა!“, და გავიგონოთ პასუხი: „ჭეშმარიტად აღდგა!“. ყოველ წელს მოხმობილნი ვართ, შევიდეთ აღდგომის საიდუმლოში ერთი ნათლის შუქზე, რომელიც სულ უფრო ღრმად გვაცნობს ღმრთის სინამდვილეს — და, ამავე დროს, ჩვენი საკუთარი თავის, ადამიანთა ჭეშმარიტ სინამდვილეს. იესო არის ღმერთი, რომელიც განკაცდა. ჩვენ ვამბობთ — ხორცი შეისხა, და ამ სიტყვებში ვგულისხმობთ უძლურებას, სასრულობას, შეზღუდვას, სისუსტეს. აი, რა არის ადამიანი — ქალი და კაცი! აი, რანი ვართ ჩვენ, მე და შენ!

პასექი გვიჩვენებს მას, როგორც ცილდანაწამებს, შეურაცხყოფილს, განდევნილს, დამცირებულს, ჯვარცმულს, მოკლულს. მაგრამ საბოლოოდ იგი წამოდგება. იგი ცოცხალია. იგი აღდგა. იგი არ მოსულა ჩვენს განსასჯელად, არამედ მოვიდა ჩვენს წამოსაყენებლად. აი, ჩვენი ღმრთის სინამდვილე იესო ნაზარეველში! რამდენად ძლიერად ვგრძნობთ, სწორედ როგორც ადამიანები, გამოწვდილი ხელის საჭიროებას - ხელისა, რომელიც ჩაგვეჭიდება და ამოგვათრევს ჩვენი ჯოჯოხეთიდან, რათა წამოვდგეთ, რათა მოგვენიჭოს სავსე სიცოცხლე, ახალი სიცოცხლე!

ჩვენ წინაშეა ანასტასისის ხატი, სადაც იესოს ადამისა და ევასათვის ხელები ჩაუჭიდავს და ამგვარად, უჭირავს ყოველი ადამიანის ხელი...

პასექის ნათელი, სიკვდილის მძლეველი ღმრთის ნათელი გვანიჭებს წამოდგომის თავისუფლებას. დიახ! სადაც უნდა იყოს ის ბუნაგი, რომელშიც შევყუჟულვართ, რაოდენ ღრმა და მახინჯ ადგილასაც უნდა იმყოფებოდეს ჩვენი ადამიანობა, მაინც, პასექის საიდუმლოში შესვლა გვანიჭებს წამოდგომის თავისუფლებას, გვიცოცხლებს სიცოცხლეს, გვაქცევს მოყვასად და არავის ბატონად, უნარჩუნებს გარჯასა და ყოველ ჩვენს ადამიანურ ქმედებას ღირსების მნიშვნელობას.

პასექი გვაძლევს ნებართვას, კვლავ ვიმედოვნოთ, ჩვენს ნაიარევთა დამალვის გარეშე (სწორედ ეს ნაიარევნი გვხდის ჩვენ განსაკუთრებულსა და ნამდვილს). მისი მშვიდობა, აღდგომის ნიჭი, გადაჯაჭვულია სულიწმიდის ნიჭთან — სულისა, რომელიც განაახლებს ადამიანს, ქალსა და მამაკაცს, თითოეულს თავის უძლურ ხორცში, და მაინც — იმედის მქონეს, ღმრთის შემძლეს.

ამგვარად, ძვირფასო ძმანო და დანო, — რაკი უფლის ხელი ჩვენც ჩაგვჭიდებს და წამოგვაყენებს, — ვუთხრათ ერთმანეთს, სიხარულით სავსე თვალებით, ამ წელსაც:

„ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად აღდგა!“.
გილოცავთ პასექს!

+ ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო
ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო
ადმინისტრატორი

,,წერტილების შეერთება“

მამა გაბრიელე ბრაგანტინი CSS, მთავარი რედაქტორი

შეაერთე წერტილები: ყველასათვის სახალისო და მარტივი თამაში თავისუფალ დროს, ან ზაფხულში ზღვაზე დასვენებისას... ზოგჯერ შეიძლება ბანალური ჩანდეს, მაგრამ ეს გამორჩეული საქმიანობაა ფილოსოფოსთათვის, თეოლოგებისთვის, მენეჯერებისთვის, მეცნიერთა, პოლიტიკოსთა ან ხელოვანთათვის: ანუ მოაზროვნე ადამიანებისათვის; თუმცა, ხელოსანმაც უნდა მოახერხოს წერტილების შეერთება, რათა გაერკვეს ტექნიკაში და ასევე იქცევა სტუდენტი რთული ტექსტის მნიშვნელობის გასაგებად. შეიძლება თავად ჩვენც წერტილებად აღვიქვათ თავი, მარტოსულ პერსონაჟებად, წვეთებად ზღვაში, ფოთლებად ქარში, მოგვეჩვენოს, რომ არ შეგვწევს უნარი რაღაც შევცვალოთ, ისეთი რამ შევქმნათ, დროს რომ გაუძლებს, თუნდაც გმირულად გავუმკლავდეთ სამყაროს საფრთხეებს.

წერტილების შეერთება არ არის მხოლოდ პატარების ან დიდების გასართობი თამაში, მხოლოდ ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ყურება მითოლოგიური ფიგურების აღმოსაჩენად, არც მხოლოდ სათაურია სტივ ჯობსის ცნობილი სიტყვისა, სტენფორდის კუსდამთვარებულების წინაშე რომ წარმოთქვა: ,,Connecting the dots“ - „შეაერთე წერტილები“.

საშური საქმეა საკუთარ თავსა და საგნებში დაფარული აზრის აღმოჩენა; ეს არის სტიმული, რასაც ჩვენი ყოველდღიური გამოცდილება მუდმივად გვთავაზობს, თუმცა ხშირად მას უგულებელვყოფთ, ან იმიტომ, რომ სხვა საქმეები გვაქვს, ან ვფიქრობთ, რომ ძალისხმევად არ ღირს, რადგან მუდმივად ვჩქარობთ, გამაოგნებელ ხმაურში ვართ ჩაფლულები, უკიდეგანო ინფორმაციის მორევში ჩაძირულები: განცხადებები, მონაცემები, ომები, უწყებები, კრიზისები, ყალბი ამბები, მოწმეობები. ახალი ამბები უსწრაფესად ვრცელდება, მოსაზრებები ერთმანეთს ეწინააღმდეგება და ეს ყველაფერი თვალის დახამხამებაში ხელიდან გვეცლება.

და მაინც, რაც უფრო მეტს ვეცნობით, მით უფრო მცირდება ჩვენი მახსოვრობისა და გზაკვლევის უნარი. ასეთ დროს თავს იჩენს კონტექსტის

შეგრძნების დაკარგვის საშიშროება, იმ უნართაგან ერთ-ერთის, რომელიც ადამიანებს მანქანებისაგან განასხვავებს: ხელოვნურ ინტელექტთან ჩვენი ურთიერთობის პროცესზე დაკვირვებისას ერთი მთავარი რამ იკვეთება: ყოველთვის ჩვენ უნდა შევქმნათ კონტექსტი, რომ ხელოვნურმა ინტელექტმა მიიღოს შედეგები, რომლებიც ლოგიკურ ჩარჩოში ჩაჯდება. კონტექსტის აღდგენა ნიშნავს გავცდეთ ნაწილობრივ ხედვას და ერთმანეთთან დავაკავშიროთ ელემენტები, უფრო ფართო დინამიკაში ჩავრთოთ ფაქტები, ერთმანეთისაგან გავარჩიოთ ანგარიშგასაწევი და მხოლოდ ხმაურის წარმომქმნელი; ეს ნიშნავს, რომ რეალობის სირთულე შედგება ხილული და უხილავი ურთიერთობებისაგან; ნიშნავს შენელების შესაძლებლობას, თავის დაღწევას წუთიერ მოვლენათაგან, რათა საერთო სურათის აღქმა შევძლოთ. ეკონომიკა და კულტურა, ტექნოლოგია და ურთიერთობები, პოლიტიკა და ყოველდღიური ცხოვრება, ინდივიდუალური არჩევანი და კოლექტიური ტრანსფორმაციები, რელიგიები და საზოგადოება, შემთხვევითობა და განგებულება, დრო და სივრცე: მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს დონეები დაიწყებენ ურთიერთქმედებას, შევძლებთ გავიგოთ, თუ რა ხდება სინამდვილეში.

სტივ ჯობსმა 2005 წელს სტენფორდის კურსდამთავრებულთა წინაშე წარმოთქმულ სიტყვაში განმარტა, რომ ნამდვილად შესაძლებელია საგნების მნიშვნელობის ჭეშმარიტად გააზრება ერთი შეხედვით ერთმანეთთან დაუკავშირებელი ელემენტების დაკავშირებით, რომლებიც ერთად დაკვირვებისას გარკვეულ ტრაექტორიას ავლენენ. რადგან ხშირად სწორედ ერთი შეხედვით შორეულ მოვლენებს შორის იმალება ცვლილების არსი. სიღრმისეული ცვლილებები იშვიათად წარმოიქმნება ერთი კონკრეტული მოვლენისგან: ისინი სხვადასხვა ფაქტორის გადაჯაჭვულობის შედეგად წარმოიქმნება: ტექნოლოგიური ინოვაციები, ქცევითი ცვლილებები, პოლიტიკური გადაწყვეტილებები, დემოგრაფიული დინამიკა, კულტურული დაძაბულობა. წერტილების დაკავშირების პრაქტიკა ნიშნავს აწმყოს აღქმას ურთიერთობების ეკოსისტემად და არა მოვლენათა არეული თანმიმდევრობის სახით. უნდა ვაღიაროთ ის ფაქტი, რომ გაგება სჭიროებს დროს, ყურადღებასა და რეალობის სხვადასხვა დონეებს შორის კავშირების შენარჩუნების უნარს.

„წერტილების შეერთება“ არის მუდმივი ვარჯიში, რომლის მიზანია არ გავჩერდეთ ზედაპირზე, მხოლოდ მიმდინარე მოვლენებს არ დავეყრდნოთ, განვასხვავოთ ხმაური სიგნალისაგან, ფოტო კი მოვლენისაგან. ეს არის პასუხისმგებლობის ფორმა, თუნდაც მორჩილების საწინააღმდეგოდ: შევეცადოთ გავიგოთ, სად ვართ სინამდვილეში, რა ძალები მოქმედებენ და რა ტრაექტორიები ჩნდება. წერტილების შეერთებას დღეს მხოლოდ სარგებელი როდი მოაქვს. ის აუცილებელია, სასწრაფოა, თვით მორწმუნისთვისაც, განსაკუთრებით მათთვის, ვისაც სწამს აღდგომის და ესწრაფვის რწმენისა და სიცოცხლის წერტილები ერთმანეთთან შეაერთოს; რათა არ დარჩნენ მხოლოდ წერტილებად, თუნდაც შარავანდედი ადგეთ!

ინდოეთში 9 აპრილს მოწამებრივად აღსრულებული ძმა დემეტრე თბილელის ახალი ხატი

დიდი სიხარულით მივიღე საჩუქრად ეს მშვენიერი ხატი, დაწერილი ჩემი მეგობრის, ვახტანგ კოლბაიას მიერ. ხატში ვხედავ საქართველოს და ჩვენს ეკლესიას, განსაკუთრებით კი მისი სულის ანარეკლს.

წმიდა ნინო და წმიდა გიორგი კარგად არიან ცნობილნი, მაგრამ ჩვენთვის, საქართველოს კათოლიკეთათვის, განსაკუთრებული სიხარული და სამართლიანი სიამაყეა მათ გვერდით ვიხილოთ ღირსი დემეტრე თბილელი, რომლის ნეტარად შერაცხვასაც ვიმედოვნებთ მალე, წმიდა მამის, პაპ ლეონისაგან.

საქართველოს ყოველნო წმიდანნო, ილოცეთ ჩვენთვის!

+ მეუფე ჯუზეპე პაზოტო

კარდინალი პაროლინი ახლო აღმოსავლეთის ომის შესახებ

ახლო აღმოსავლეთში განვითარებული მოვლენების შესახებ წმიდა საყდრის სახელმწიფო მდივანს Vatican News-ის მთავარი რედაქტორი ანდრეა ტორნიელი ესაუბრა. ტორნიელის კითხვას - „რას განიცდით ამ დრამატულ ჟამს?“ - იერარქმა ასე უპასუხა: „დიდ ტკივილს. ახლო აღოსავლეთის ერები, ისედაც დასუსტებული ქრისტიანული თემები კვლავ მოიცვა ომის საშინელებამ, ომისა, რომელიც უმოწყალოდ წყვეტს ადამიანთა სიცოცხლეს, იწვევს ნგრევას და მთელ ქვეყნებს ითრევს ძალადობის სპირალში... მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაეროს დამფუძნებლებს სურდათ აეცილებინათ თავიანთი შვილებისათვის ის საშინელება, რომელიც თავად განიცადეს. დღეს ისე ჩანს, რომ მათი ძალისხმევა ამაო იყო“. დიპლომატიურ კორპუსთან შეხვედრისას პაპმა აღნიშნა: „დიალოგისა და საყოველთაო თანხმობის დიპლომატიას თანდათან ცალკეულ სახელმწიფოთა და მოკავშირეთა გუნდის ძალის დიპლომატია ანაცვლებს“. სულ უფრო ხშირად გაისმის მოსაზრება, თითქოს მშვიდობის უზრუნველყოფა იარაღითაა შესაძლებელი. ამიტომ წმიდა საყდარი მუდამ გვახსენებს, რომ სახელმწიფოთა შორის დავების გადაწყვეტისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს ყველა დიპლომატიური, მშვიდობიანი საშუალება.

ტორნიელიმ აღნიშნა, რომ „დარტყმას ამართლებენ ახალი რაკეტების შექმნის პრევენციის აუცილებლობით...“; „თუკი ვაღიარებთ სახელმწიფოს მიერ „პრევენციული ომის“ წარმოების უფლებას, - მისი გადაწყვეტილებისამებრ, საერთაშორისო სამართლებრივი კონტროლის გარეშე, - არის რისკი, რომ მთელი მსოფლიო ცეცხლის ალში გაეხვევა. სავალალოა, რომ საერთაშორისო სამართალი უკანა პლანზე იხევს. სამართლიანობის ადგილს ძალა იკავებს, სამართლის ძალას კი - ძალის უფლება და აზრი, თითქოს მშვიდობა მხოლოდ მოწინააღმდეგის სრული განადგურებით მიიღწევა“, - თქვა პაპმა.

უწმიდესი პაპი მსოფლიოს განიარაღებისათვის ლოცულობს

უწმიდესი პაპის ლოცვის საერთაშორისო ქსელის ორგანიზატორებმა და წმიდა საყდრის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა გამოაქვეყნეს ვიდეორგოლი, რომელშიც ლეონ მეტოთხმეტე მსოფლიოს განიარაღებისთვის ლოცვას აღავლენს.



„დღეს აღვავლენთ ლოცვას მსვიდობისთვის მთელ მსოფლიოში, და ვთხოვთ ერებს, უარი თქვან იარაღზე, დიალოგისა და დიპლომატიის გზა აირჩიონ... უფალო, განანათლე ერთა ლიდერები, რათა მოიკრიბონ სითამამე და უარი თქვან სიკვდილის პროექტებზე, შეაჩერონ შეიარაღების რბოლა და მზერა ყველაზე მოწყვლადთა სიცოცხლეს მიაპყრონ. დაე, ნუღარასდროს განსაზღვრავს კაცობრიობის ბედს ბირთვული საფრთხე... დაე, აღმოცენდეს ახალ მსოფლიოში ყოველი კეთილი სიტყვის, შერიგების ყოველი ჟესტის და დიალოგის ყოველი არჩევანის მარცვლები. ამინ“.

„ახალგაზრდობის შენარჩუნებაში ლოცვა მეხმარება“

26 თებერვალს ყველაზე მხცოვან კათოლიკე მღვდელს, ბრუნო კანტს 110 წელი შეუსრულდა. იუბილარს დაბადების დღე მრავალმა ადამიანმა მიულოცა, მათ შორის, უწმიდესმა პაპმა („სიხარულით შევიტყვე, რომ 26 თებერვალს 110 წლის იუბილეს აღნიშნავთ. გიგზავნით ჩემს გულითად მოლოცვას და კურთხევას“), გერმანიის პრეზიდენტმა და ქვეყნის ფედერალურმა კანცლერმა. მადლიერ მრევლს არ დავიწყებია თავისი მოძღვრის ამაგი. რამდენიმე წლის წინ პეტერსბერგში, სადაც ბრუნო კანტმა რამდენიმე ათწლეული იღვაწა, ერთ-ერთ ქუჩას მისი სახელი ეწოდა, აიჰენცელში კი - ეკლესიის წინ მდებარე პატარა მოედანს. ბრუნო კანტი ბავშვობიდან მღვდლობაზე ოცნებობდა. თეოლოგიის შესწავლაც დაიწყო, მაგრამ ნაციტური რეჟიმის ბატონობისას ჯერ შრომით ბანაკში მოხვდა, შემდეგ კი იძულებით ომში იქნა გაგზავნილი. 1945 წელს საბჭოელებს ჩაუვარდა ტყვედ და 4 წელიწადი გულაგში გაატარა. საბჭოთა ტყვეობიდან გათავისუფლების შემდეგ ბრუნო კანტმა ბავშვობისდროინდელი ოცნება აისრულა, თავის მოწოდებას მიყვა, 1950 წელს მღვდლად ეკურთხა და აქტიური მსახურება მხოლოდ 2024 წელს შეწყვიტა, როცა 102 წლისა გახდა. თუმცა ამის შემდეგაც ერთხანს არ შეუწყვიტავს სამოძღვრო მოღვაწეობა, როგორიცაა სამწყსოს წევრთა დარიგება და სნეულთა მონახულება. ახლა ხანდაზმულობის გამო მას მსახურება აღარ შეუძლია, ამბობს, რომ „სიკვდილის პირს მიუახლოვდა“, თუმცა საკმაოდ აქტიურია: ბევრს კითხულობს, ტელევიზორს უყურებს, თავსატეხებს ხსნის და ლოცულობს. „ახალგაზრდობის შენარჩუნებაში ლოცვა მეხმარება“, - ამბობს მამა ბრუნო.

ლიბანში დაბომბვას კათოლიკე მღვდელი შეეწირა

Christian Today-ის ცნობით, 2026 წლის 12 მარტს, ლიბანში დაბომბვის შედეგად 50 წლის კათოლიკე მღვდელი, მარონიტთა სამრევლოს წინამძრვარი პიერ ელ-რაჰი დაიღუპა, როდესაც ის თავდასხმის დროს მრევლის დახმარებას ცდილობდა. ისრაელის ტანკმა ორი გასროლა განახორციელა სამოქალაქო პირების სახლზე, სადაც სასულიერო პირი იმყოფებოდა. პიერ ელ-რაჰი მძიმედ დაიჭრა და მოგვიანებით საავადმყოფოში გარდაიცვალა. მარონიტთა ეკლესიის წინამძღოლმა, პატრიარქმა ბეშარა ბუტროს რაიმ მღვდლის მოწამებრივ სიკვდილს „ეკლესიის გულში ღრმა ჭრილობა“ უწოდა და მხარეებს დიპლომატიისა და დიალოგისაკენ მოუწოდა. მან ასევე დაგმო მშვიდობიან მოსახლეობაზე, რელიგიურ მოღვაწეებსა და საკულტო ადგილებზე ნებისმიერი თავდასხმა.

მოამზადა რუსუდან ავალიშვილმა

სიყვარულისა და რწმენის საიდუმლო

ქორწინება არის საკრამენტი, წმიდათაწმიდა საიდუმლო, რაც ნიშნავს იმას, რომ ქალსა და მამაკაცს, რომლებიც ქორწინდებიან, ისეთივე სიყვარული ამოძრავებთ ერთმანეთისადმი, როგორი სიყვარულითაც იესოს უყვარდა ადამიანი ჯვარზე თავგანწირვის წუთებში. უფალი ანიჭებს ცოლ-ქმარს მადლს, რომ გახდნენ მისი შემოქმედი სიყვარულის თანამონაწილენი ცხოვრებისეულ მადლში, ვინაიდან ყველაზე ამაღლებული გამოხატვა ცოლქმრული მადლისა ხორციელდება მაშინ, როდესაც ცოლ-ქმარი ,,ერთ ხორცად იქცევა". მათში აუცილებლად უნდა ცოცხლობდეს უნარის მომნიჭებელი ძალა, უფლის მადლს რომ უპასუხონ და აღასრულონ ყველაფერი, რასაც უფალი მოუწოდებს მათ. ზუსტად ეს სულიერი ძალაა ცოლ-ქმრისთვის დამახასიათებელი.

ეკლესიის ტრადიციიდან ვიცით, რომ მონათლულ კათოლიკეს მოეთხოვება ჯვრისწერის საიდუმლოთი განამტკიცოს ცოლქმრული ცხოვრების არჩევანი. კათოლიკური ქორწინება არის საიდუმლო, რომელიც აკავშირებს მონათლულ კათოლიკეებს სიცოცხლის ბოლომდე, განუყრელად. ის მოითხოვს თავისუფალ თანხმობას, ეკლესიის წინაშე დადებულ აღთქმას და მიზნად ისახავს მეუღლეთა სიკეთესა და შვილების ქრისტიანულ აღზრდას. კათოლიკე ეკლესიაში განქორწინება არ ხდება. ჯვრისწერის შემდეგ წყვილს ხშირად ეუფლება განსაკუთრებული ემოცია. ეს არის არა მხოლოდ სიხარულის, არამედ სულიერი სიმშვიდისა და პასუხისმგებლობის მომენტი; პირველ რიგში, დიდი სიხარული და მადლიერება, თითქოს სიყვარული უფრო განმტკიცდა და კურთხეული გახდა. წყვილისთვის ეს უკვე არა მხოლოდ ერთმანეთის არჩევანია, არამედ ერთიანი სულიერი კავშირიც. მეორე ძლიერი ემოციაა სითბო და დაცულობის შეგრძნება. ჯვრისწერის შემდეგ ბევრს ეუფლება განცდა, რომ მათი ურთიერთობა უფრო ღრმა, ძლიერი და მტკიცეა, თითქოს ერთმანეთში იპოვეს ნამდვილი თავშესაფარი. ასევე ჩნდება პასუხისმგებლობის გრძნობა - მშვიდი, სერიოზული და ამაღლებული; შეგრძნება იმისა, რომ სიყვარული არის არა მხოლოდ გრძნობა, არამედ ერთგულება, ზრუნვა და ერთობლივი ცხოვრების გზა. ზოგჯერ ემოციები ძალიან ნაზია - თვალზე ცრემლი, გულში სითბო და განცდა, რომ ამიერიდან ორი ადამიანი ერთ გზას, ერთობლივ სიხარულსა და პასუხიმგებლობას იზიარებს.

ამრიგად, ჯვარდაწერილმა წყვილმა უნდა შეინარჩუნოს რწმენა, რომელიც თავად ღმერთმა ინება თავისი ხილული არსებობის ნიშნად და უვნებლად დაიცვან თავიანთი საქორწინო კავშირი, ვითარცა წმიდა და განმწმედელი წყალობა. მნიშვნელოვანია, როდესაც ჯვრისწერისა და ნათლობის საიდუმლო ერთდროულად აღესრულება. კათოლიკე ეკლესიაში ნათლობა ნიშნავს არა მხოლოდ წყლით კურთხევას, არამედ ახალ სიცოცხლეს ქრისტეში, ეკლესიის სრულუფლებიან წევრობას და ღმერთთან პირად კავშირს. ნათლობა განსაკუთრებული და ღრმა სულიერი მოვლენაა, განსაკუთრებით მაშინ, როცა მას შეგნებულად ირჩევენ 14-16 წლის მოზარდები. ამ ასაკში ნათლობა ნიშნავს, რომ ისინი უკვე აცნობიერებენ ქრისტიანული ცხოვრების მნიშვნელობას, რაც გულისხმობს ლოცვას, ეკლესიასთან ერთობას, სიყვარულისა და სიკეთის გზით სვლას. ეს არის არა მხოლოდ ტრადიცია, არამედ პირადი გადაწყვეტილება. ნათლობის შემდეგ მათ გულში რჩება მადლიერება, სიწმიდის განცდა და იმედი, რომ მათი ცხოვრება ახალი ძალითა და ღვთის მადლით გაგრძელდება.

ქეთევან მოსეშვილი

მამა არუნ ვადაკუმჩერი

ქუთაისში მოღვაწე სტიგმელთა კონგრეგაციას კიდევ ერთი მღვდელმსახური ჰყავს. მამა არუნ ვადაკუმჩერი, წარმოშობით ინდოეთიდან. ამიერიდან, მამა არუნი, მამა გაბრიელე ბრაგანტინთან და მამა დანიელე ჯაკომელთან ერთად, დასავლეთ საქართველოს კათოლიკურ სამრევლოებზე იქნება პასუხისმგებელი.

მოგესალმებით, მე გახლავართ მამა არუნ ვადაკუმჩერი ჩშშ, წმიდა გასპარე ბერტონის სულიერი შვილი, წარმოშობით ინდოეთიდან. დავიბადე 1989 წლის 4 დეკემბერს, კერალაში, უფლის მოწოდება პირველად 2005 წელს ვიგრძენი და გადავწყვიტე სტიგმელთა კონგრეგაციაში შევსულიყავი. სამღვდელო ხელდასხმა 2016 წლის 10 ოქტომბერს მივიღე. სემინარიაში სამწლიანი სწავლის შემდეგ, ვმსახურებდი მიტოვებულ მოხუცთა თავშესაფარში, როგორც დამხმარე სემინარისტი, ასევე, ვიყავი საკრებულოს ეკონომისტი. ინდოეთში სულ რვა სტიგმელი მღვდელმსახური გვყავს, ერთი მათგანი ინდონეზიაში იმყოფება დასახმარებლად. ჩვენ გავხსენით სულიერების ცენტრი, სადაც ვაუწყებთ ღვთის სიტყვას როგორც სასულიერო, ისე საერო პირებს. ვცხოვრობთ დევიზით Euntes Docete - წადით და ასწავლეთ.

ამჟამად, ჩემი ხელმძღვანელისა და წინამძღვრის თხოვნით, საქართველოში ჩამოვედი, სადაც სულიერ თანხლებას გავუწევ ინდოეთიდან ჩამოსულ სტუდენტებს და ასევე დავეხმარები სტიგმელ ბერთა საკრებულოს. ჩვენ ვცხოვრობთ წმიდა გასპარე ბერტონის სულიერებით.

ბარის წმიდა ნიკოლოზის ტაძარში კათოლიკეები და მართლმადიდებლები ერთად ლოცულობენ



იტალიაში, ქალაქ ბარის გულში, არსებობს მსოფლიოში უნიკალური ადგილი, სადაც კათოლიკეები და მართლმადიდებლები ლოცვისას ერთმანეთს ყოველდღიურად ხვდებიან. როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში, პატივცემული წმიდანის, წმიდა ნიკოლოზის ნაწილების წინაშე, ეკუმენიზმი მხოლოდ თეოლოგიურ დიალოგად არ რჩება, არამედ კონკრეტული გამოცდილებაა ერთად განცდილი რწმენისა. ეს არის ადგილი, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში წარმოადგენს ხიდს ორ განსხვავებულ ტრადიციას შორის, და რომელიც პაპმა ფრანცისკემ ერთიანობის ნამდვილ დედაქალაქად დაასახელა.

ადგილი, რომელიც აღმოსავლეთსა და დასავლეთს აერთიანებს

მას შემდეგ, რაც 1087 წელს წმიდა ნიკოლოზის ნაწილები მირადან ბარიში გადაასვენეს, ეს ქალაქი დაუსრულებელი მომლოცველობის ადგილად იქცა. დღესაც, სხვადასხვა ერის მორწმუნეები ყოველდღიურად ჩამოდიან აქ, რათა პატივი მიაგონ მას, ვინც ცნობილია, როგორც რელიგიათაშორისი დიალოგის წმიდანი.

ეკლესიის ისტორიაში, უწმიდესი ქალწული მარიამის შემდეგ, წმიდა ნიკოლოზის კულტი ყველაზე გავრცელებულია; ეს არის ფენომენი, რომელიც გადაჯაჭვულია საზღვრებში, ენებსა და ტრადიციებში. წმიდა ნიკოლოზის ეკუმენური ინსტიტუტის კოორდინატორი, მამა ემანუელ ალბანო განმარტავს, რომ შეხვედრის ეს მოწოდება თავად ბაზილიკის ისტორიაშია ჩაწერილი. იგი ჰყვება, რომ საუკუნეთა განმავლობაში სალოცავი ყოველთვის იზიდავდა სხვადასხვა აღმსარებლობის ადამიანის უწყვეტ ნაკადს, რომლებიც წმიდა ნიკოლოზის საფლავზე სალოცავად მოდიოდნენ. დროთა განმავლობაში, ეს სპონტანური მოძრაობა სულ უფრო მეტად იქცა ერთმანეთთან შეხვედრის საშუალებად, მათ შორის, ერთად აღვლენილი ლოცვისას.

ეს ხელშესახები ნიშანი თავად ამ ადგილის არქიტექტურაშიც კი აისახება. ვატიკანის მეორე კრების დასრულებისთანავე, დომინიკელმა მამებმა გადაწყვიტეს, ბაზილიკის შიგნით პატარა, მართლმადიდებლური სამლოცველო აეშენებინათ, რათა აღმოსავლური წესის მორწმუნეთათვის ლოცვა გაეადვილებინათ. ეს სამლოცველო, რომელიც შესასვლელიდან მარცხნივ მდებარეობს, წლების განმავლობაში იქცა ადგილად, სადაც მართლმადიდებლებს შეუძლიათ საღვთო ლიტურგიის აღვლენა უშუალოდ კათოლიკური ტაძრის შიგნით.

საერთო საკურთხეველი - ერთობის ნიშანი

წმიდა ნიკოლოზის ბაზილიკის ყველაზე გასაოცარი თავისებურებაა ის, რომ დღესაც კი, ხშირად ერთდროულად აღევლინება მართლმადიდებლური და კათოლიკური საღვთო ლიტურგია. მამა ალბანოსათვის სწორედ ეს არის ამ ადგილისა და აქ განვითარებული ეკუმენური გზის ნამდვილი განსაკუთრებულობა. ეკუმენიზმი ხომ სწორედ ლოცვასა და ძმურ შეხვედრებს გულისხმობს. ეს ფაქტი ბარის ტაძარს უნიკალური შეხვედრების ადგილად აქცევს; ადგილად, სადაც ორ ტრადიციას შორის სიახლოვე მხოლოდ სიმბოლური კი არა, რეალური და ყოველდღიურია.

საყოველთაო კულტის საიდუმლო

ამ ყველაფრის შემდეგ ჩნდება ერთი საინტერესო შეკითხვა: ,,როგორ შეძლო წმიდა ნიკოლოზმა კათოლიკეთა და მართლმადიდებელთა ასე განსაკუთრებულად გაერთიანება?“ მისმა პიროვნებამ, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ქველმოქმედებასა და დაუცველთა მფარველობასთან, საუკუნეთა განმავლობაში ჩამოაყალიბა ისეთი კულტი, რომელიც ყოველგვარ განხეთქილებას აღემატება. „რაციონალურად რთულია ამ საერთო მიზიდულობის ახსნა, თუმცა აშკარაა, რომ მისი ფიგურის გარშემო სპონტანური და მყარი ერთობა ჩამოყალიბდა“, - აღნიშნავს მამა ალბანო.

ბარი - ერთიანობის ნამდვილი დედაქალაქი

შემთხვევითი არ არის, რომ პაპმა ფრანცისკემ ბარის „ერთიანობის დედაქალაქი“ უწოდა. აქ თავს იყრიან მართლმადიდებელ ეკლესიათა წარმომადგენლები მთელი მსოფლიოდან: ქართველები, ბერძნები, რუმინელები, რუსები და მრავალი სხვა. საუბარია არა მხოლოდ გამვლელ მომლოცველებზე, არამედ მორწმუნეებზე, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ ქალაქში და რეგულარულად აღასრულებენ ლიტურგიას ბაზილიკის შიგნით. მამა ალბანოს თქმით, აქ მკაფიოდ იგრძნობა იმ მართლმადიდებლური თემების არსებობა, რომლებმაც ამ მიწაზე გაიდგეს ფესვები, რომლებიც ყოველდღიურად გამოხატავენ წმიდა ნიკოლოზისადმი სასოებას და კათოლიკეებთან ერთად იზიარებენ იმავე წმიდა სივრცეს.

ლოცვიდან კულტურამდე: წმიდა ნიკოლოზის ეკუმენური ინსტიტუტი

ამ განსაკუთრებული ეკუმენური გარემოდან დაიბადა წმიდა ნიკოლოზის ეკუმენური ინსტიტუტიც, რომელიც ბარის მაშინდელმა მთავარეპისკოპოსმა, ენრიკო ნიკოდემომ პულიის ეპისკოპოსთა კონფერენციასა და დომინიკელებთან ერთად დააფუძნა. მამა ალბანოსათვის კულტურა ერთიანობისაკენ მიმავალი გზის განუყოფელი ნაწილია. საკუთარი ისტორიისა და იმ ჭრილობების გააზრება, რომლებმაც, სამწუხაროდ, ქრისტიანები დაყო, ფუნდამენტური ეტაპია. ინსტიტუტი, რომელიც დღეს პულიის თეოლოგიური ფაკულტეტის ნაწილია, უნიკალურ გამოცდილებას წარმოადგენს, რადგან, როგორც იგი ხაზგასმით აღნიშნავს, ეს არის ალბათ ერთადერთი შემთხვევა, როდესაც აკადემიური კვლევა დაიბადა, როგორც შედეგი იმისა, რაც საეკლესიო ცხოვრების კონკრეტულ რეალობაში ხდება. „ეს არ არის თეორიული პროექტი, არამედ უკვე განცდილი ერთობის ნაყოფია“.

მოამზადა შოთა გიქოშვილმა

ეკლესია და ღარიბები

შესავალი: როგორც ჩანს, მსოფლიოში ღარიბთა რაოდენობა (ისინი კი მსოფლიო მოსახლეობის 44%-ს შეადგენენ) და სიღარიბე, როგორც ასეთი, არ მცირდება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ 2030 წლისათვის დასახული გეგმის მიხედვით; ამასთან დაკავშირებით, წარმოგიდგენთ პაპ ლეონ XIV-ის სამოციქულო წერილიდან „Dilexi te“ რამდენიმე თავს, სადაც მოყვანილია ბოლო 150 წლის განმავლობაში პაპების მოსაზრებები ღარიბებისა და სიღარიბის შესახებ. ყოველივე ეს უკეთ დაგვაფიქრებს წლევანელ სულიერ გზაზე.

83. ბოლო 150 წელია, რაც ეკლესია ღარიბთა შესახებ სწავლების ნამდვილ საგანძურს გვთავაზობს. რომის ეპისკოპოსებმა გამოთქვეს ახალი შეხედულებები, რომლებიც საეკლესიო განსჯის საგნად იქცა. მაგალითად, ენციკლიკაში „Rerum novarum“ (1891) პაპი ლეონ XIII შრომის საკითხს განიხილავს, მას სააშკარაოზე გამოაქვს ინდუსტრიაში დასაქმებული მრავალი მუშის აუტანელი მდგომარეობა და სამართლიანი სოციალური წესრიგის დამყარებას სთავაზობს. ამ საკითხზე სხვა პონტიფექსებმაც გამოთქვეს თავიანთი მოსაზრება. ენციკლიკით „Mater et Magistra“ (1961) წმიდა იოანე XXIII გლობალური მასშტაბის სამართლიანობის იდეის წინამორბედად იქცა: მდიდარი ქვეყნები გულგრილნი არ უნდა ყოფილიყვნენ შიმშილითა და სიღატაკით შეჭირვებული ქვეყნების მიმართ; ისინი მოვალენი იყვნენ, მთელი თავიანთი რესურსით გულუხვად დახმარებოდნენ მათ.

84. ღარიბთა საკითხთან დაკავშირებით, ფუნდამენტურ ეტაპს წარმოადგენს ვატიკანის II კრება. მიუხედავად იმისა, რომ მოსამზადებელ დოკუმენტებში ეს თემა მეორეხარისხოვანი იყო, 1962 წლის 11 სექტემბრის რადიომიმართვაში, კრების გახსნამდე ერთი თვით ადრე, წმიდა იოანე XXIII მასზე ყურადღებას ამახვილებს დაუვიწყარი სიტყვებით: „ეკლესია წარმოაჩენს თავს ისეთად, როგორიც არის და როგორიც თავად სურს იყოს, როგორც ყველას ეკლესია და, განსაკუთრებით, ღარიბთა ეკლესია“ (76). სწორედ ეკლესიის განახლებით დაინტერესებულ ეპისკოპოსთა, ღვთისმეტყველთა და ექსპერტთა დიდმა ღვაწლმა, თავად წმიდა იოანე XXIII-ის მხარდაჭერით, კრებას ახალი მიმართულება მისცა.

ფუნდამენტურია ამგვარი აღმავლობის ქრისტოცენტრული, მაშასადამე, დოგმატური ბუნება და არა მხოლოდ სოციალური. ფაქტობრივად, კრების მრავალი მამა მხარს უჭერდა იმ ცნობიერების განმტკიცებას, რომელიც ნათლად გამოხატა კარდინალმა ლერკარომ 1962 წლის 6 დეკემბრის თავის შთამბეჭდავ სიტყვაში: „ქრისტეს საიდუმლო ეკლესიაში ყოველთვის იყო და არის, მაგრამ დღეს განსაკუთრებითაა ქრისტეს საიდუმლო ღარიბებში“ (77), და რომ „საქმე ეხება არა უბრალოდ რომელიღაც თემას, არამედ, გარკვეულწილად,



ეს მთელი ვატიკანის II კრების ერთადერთ თემას წარმოადგენს“ (78). ბოლონიის არქიეპისკოპოსმა, ამ გამოსვლის ტექსტის მომზადებისას, აღნიშნა: „დგას ღარიბთა ჟამი, მილიონობით ღარიბთა მთელ დედამიწაზე; ეკლესიის, ღარიბთა დედის, საიდუმლოს ჟამი; უწინარესად, ღარიბებში მყოფ ქრისტეს საიდუმლოს ჟამი“ (79). ამგვარად, გამოიკვეთა ახალი, უფრო მარტივი და თავშეკავებული, ეკლესიის ახალი ფორმის საჭიროება, რომელიც ღვთის მთელ ერს და მის ისტორიულ სახეს მოიცავდა. ეკლესია, რომელიც მეტად დაემსგავსებოდა თავის უფალს, ვიდრე ამქვეყნიურ ძალაუფლებას, და რომლის მიზანიც მთელ კაცობრიობაში მსოფლიო სიღარიბის დიდი პრობლემის გადაჭრის კონკრეტული ვალდებულების შთაგონება იქნებოდა.

85. წმიდა პავლე VI, კრების მეორე სესიის გახსნის დღეს, თავის წინამორბედის მიერ დასმულ საკითხს მიუბრუნდა, რომ ეკლესია განსაკუთრებულ გულისხმიერებას იჩენს „ღარიბების, შეჭირვებულების, დამწუხრებულების, მშიერ-მწყურვალთა, ტანჯულთა, პატიმართა მიმართ, ანუ მთელი იმ კაცობრიობისა, რომელიც იტანჯება და გოდებს: სახარებისეული უფლებით, იგი მათ ეკუთვნის“ (80). 1964 წლის 11 ნოემბრის გენერალურ სხდომაზე მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ღარიბი ქრისტეს წარმომადგენელია“, და როცა უკანასკნელებში გადმოცემული უფლის ხატება იმ სახეს შეადარა, რაც პაპში ცხადდება, შემდეგი რამ თქვა: „ქრისტეს წარმოდგენა ღარიბში უნივერსალურია; ყოველი ღარიბი ადამიანი ქრისტეს აირეკლავს; ხოლო პაპის წარმოდგენა პიროვნულია. (...) ღარიბი და პეტრე შეიძლება თანხვდენილია, ისინი შეიძლება იყვნენ ერთი და იგივე პიროვნებები, ორმაგი წარმოდგენით, სიღარიბისა და ძალაუფლების წარმოდგენით“ (81). ამგვარად, ეკლესიასა და ღარიბებს შორის შინაგანი კავშირი სიმბოლურად უპრეცედენტო სიცხადით გამოიხატა.

86. სამწყსო კონსტიტუციაში „Gaudium et spes“, ეკლესიის მამათა მემკვიდრეობის განახლებით, ვატიკანის II კრება მტკიცედ აცხადებს დედამიწის სიკეთეთა საყოველთაო დანიშნულებას და მისგან გამომდინარე საკუთრების სოციალურ ფუნქციას: „ღმერთმა დედამიწა და ყველაფერი, რაც მასშია, ადამიანებისა და ერების სარგებლობისათვის განაწესა, ამიტომაც, ხელთქმნილი სიკეთენი სამართლიანი კრიტერიუმის მიხედვით უნდა გადანაწილდეს ყველაზე (...). ამრიგად, როცა ამ სიკეთეებს იყენებს ადამიანი, კანონიერად დაუფლებულ გარეგნულ საგნებს უნდა განიხილავდეს არა მხოლოდ როგორც საკუთრებას, არამედ როგორც საერთო სიკეთესაც, გამომდინარე იქიდან, რომ მას სარგებლობის მოტანა შეუძლია არა მხოლოდ თავად მისთვის, არამედ სხვებისთვისაც. უფრო მეტიც, ყოველი ადამიანის უფლებაა, საკმარის საშუალებებს ფლობდეს საკუთარი თავისა და ოჯახისათვის. (...) ვისაც უკიდურესად უჭირს, უფლება აქვს, ის, რაც სჭირდება, სხვისი სიმდიდრიდან მიიღოს (...), ყოველ კერძო საკუთრებას, თავისი ბუნებით, აქვს სოციალური ფუნქცია, რომელიც ეფუძნება სიკეთის საერთო დანიშნულებას. თუ ეს სოციალური ფუნქცია უგულებელყოფილია, საკუთრება შეიძლება სხვადასხვა ფორმით გახდეს სიხარბისა და სერიოზული უწესრიგობის მიზეზი“. ეს შეგნება კიდევ უფრო მეტად გაძლიერდა წმიდა პავლე VI-ის ენციკლიკაში ,,Populorum progressio“, სადაც ვკითხულობთ, რომ არავის აქვს უფლება, მხოლოდ საკუთარ სარგებლობაში დაიტოვოს ის, რაც მის საჭიროებას აღემატება, მაშინ როცა სხვებს ყოვლად აუცილებელი აკლიათ“.

გაეროს წინაშე სიტყვით გამოსვლისას პაპმა მონტინიმ ღარიბი ერები დაიცვა და საერთაშორისო საზოგადოებას სოლიდარული სამყაროს შენებისაკენ მოუწოდა. წმიდა იოანე პავლე II-ის დროს კიდევ უფრო გაძლიერდა (ყოველ შემთხვევაში, დოქტრინულ სფეროში) ეკლესიის გამორჩეული

დამოკიდებულება ღარიბთა მიმართ. მის სამოძღვრო სწავლებაში აღიარებულია, რომ ღარიბთა სასარგებლოდ არჩევანი არის „ქრისტიანული სიყვარულის განხორციელებაში განსაკუთრებული უპირატესობა, რასაც მოწმობს ეკლესიის მთელი ტრადიცია“.

(85) ენციკლიკაში „Sollicitudo rei socialis“ იგი კვლავ აღნიშნავდა, რომ ის მასშტაბური ხასიათი, რაც დღეს სოციალურმა საკითხმა შეიძინა, „ის გამორჩეული სიყვარული, გადაწყვეტილებებით, რომლებიც შთაგვაგონებს, შეუძლებელია არ მოიცავდეს მშიერთა, მათხოვართა, უსახლკაროთა, სამედიცინო დახმარების გარეშე დარჩენილთა და, უპირველეს ყოვლისა, უკეთესი მომავლის იმედის გარეშე მყოფთა უზარმაზარ მასებს: შეუძლებელია ამ რეალობის არსებობის უგულებელყოფა. მათი უარყოფა ნიშნავს დავემსგავსოთ ,,მდიდარ ადამიანს“, რომელიც თავს იკატუნებდა, თითქოს არ იცნობდა მის კართან მწოლარე გლახაკ ლაზარეს (შდრ. ლუკა 16,19-31)“. (86) მისი სწავლება შრომის შესახებ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მაშინ, როდესაც ვცდილობთ გავიაზროთ ღარიბთა აქტიური როლი ეკლესიისა და საზოგადოების განახლებაში და უარვყოთ ისეთი მიდგომა, რომელიც მხოლოდ მათი უშუალო საჭიროებების ,,მამობრივი ზრუნვით“ დახმარებას გულისხმობს. ენციკლიკაში ,,Laborem exercens“ იგი ამტკიცებს, რომ „ადამიანური შრომა გასაღებია, და ალბათ მთელი სოციალური საკითხის უმთავრესი გასაღები“ (87).

88. მესამე ათასწლეულის დასაწყისისათვის დამახასიათებელი მრავალი კრიზისის ფონზე, ბენედიქტე XVI-ის ანალიზი კიდევ უფრო მკვეთრად პოლიტიკური ხასიათისაა. მაგალითად, ენციკლიკაში ,,Caritas in veritate“ იგი ამტკიცებს, რომ „მოყვასის სიყვარული მით უფრო მეტად ეფექტური იქნება, რაც მეტად გავირჯებით იმ საერთო სიკეთისათვის, რომელიც პასუხობს მის რეალურ საჭიროებებს“ (88). იგი ასევე აღნიშნავს, რომ „შიმშილი დამოკიდებულია არა იმდენად მატერიალურ სიმწირეზე, რამდენადაც სოციალური რესურსების დეფიციტზე, რომელთაგან უმნიშვნელოვანესი ინსტიტუციური ხასიათისაა. ანუ არ არსებობს ეკონომიკური ინსტიტუტების ერთობლიობა, რომელიც შეძლებდა კვებითი თვალსაზრისით საჭმელსა და წყალზე საკმარისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას და აგრეთვე პირველადი საჭიროებებიდან და ნამდვილი სასურსათო კრიზისებიდან გამომდინარე მოთხოვნების დაკმაყოფილებას, რაც ბუნებრივი მიზეზებით, ან ეროვნული და საერთაშორისო პოლიტიკური უპასუხისმგებლობით არის გამოწვეული“ (89).

93. ენციკლიკაში ,,Dilexit nos“ პაპმა ფრანცისკემ გაიხსენა, რომ სოციალური ცოდვა საზოგადოებაში „ცოდვის სტრუქტურის“ სახით ყალიბდება, რაც „ხშირად ნაწილია ისეთი გამეფებული აზროვნებისა, რომელიც ნორმალურად ან რაციონალურად მიიჩნევს იმას, რაც სინამდვილეში მხოლოდ ეგოიზმი და გულგრილობაა. ეს ფენომენი შეიძლება განისაზღვროს, როგორც სოციალური გაუცხოება“ (95). დღეს ღარიბთა უგულებელყოფა და ისე ცხოვრება, თითქოს ისინი არცკი არსებობდნენ, ნორმა ხდება; ჩანს, თითქოს ეს გონივრული არჩევანია - ეკონომიკის ორგანიზება ხალხის მიერ გაღებული მსხვერპლის ფასად, განსაზღვრული მიზნის მისაღწევად, რაც ხელისუფლებას აინტერესებს. ამასობაში ღარიბებს ჰპირდებიან მხოლოდ ,,ზღვაში წვეთს“, სანამ ახალი გლობალური კრიზისი ისევ არ დააბრუნებს მათ ადრინდელ მდგომარეობაში. ეს ნამდვილი გაუცხოებაა, რომელიც ადამიანს უბიძგებს მხოლოდ თეორიული მიზეზების ძიებისაკენ და არა მათი კონკრეტული პრობლემების მოგვარებისაკენ, რომლებიც დღეს იტანჯებიან. წმიდა იოანე პავლე II აღნიშნავდა: „გაუცხოებულია საზოგადოება, რომელიც თავისი სოციალური წარმოებისა და მოხმარების ფორმებით ართულებს ამ ძღვენის განხორციელებასა და ადამიანთა შორის თანადგომის დამყარებას“ (96).

94. ჩვენ მუდმივად უნდა ვცდილობდეთ სიღ-

არიბის სტრუქტურული მიზეზების მოგვარებას. ეს გადაუდებელი საკითხია, რომელიც „ვერ იტანს ლოდინს, არა მხოლოდ პრაგმატული მოთხოვნების მიზნით, რომ მიღწეულ იქნეს შედეგები და დამყარდეს საზოგადოებრივი წესრიგი, არამედ იმ დაავადებისაგან განსაკურნებლად, რომელიც მას უსუსურად, ღირსებააყრილად ტოვებს და მხოლოდ ახალ კრიზისს იწვევს. სოციალური უზრუნველყოფის გეგმები, რომლებიც მიმართულია გადაუდებელი საჭიროებებისაკენ, უნდა მივიჩნიოთ მხოლოდ დროებით პასუხებად“ (97). უთანასწორობა „სოციალური ბოროტების ძირია“ (98). „მრავალი ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ ადამიანის უფლებები ყველასთვის თანაბარი არ არის“ (99).

95. ისეც ხდება, რომ „წარმატებისა“ და „მიკერძოების“ თანამედროვე მოდელში“, როგორც ჩანს, უაზროა ინვესტიციის ჩადება იმაში, რომ ჩამორჩენილებმა, სუსტებმა ან ნაკლებ ნიჭიერებმა შეძლონ გზის გაკვლევა ცხოვრებაში“ (100). მუდამ ერთი და იგივე კითხვა მეორდება: ნუთუ ნაკლებად ნიჭიერ ადამიანებს ან სუსტებს არ გააჩნიათ ჩვენნაირი ღირსება? ისინი, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობებით დაიბადნენ, ნაკლებ ღირსეული ადამიანები არიან და მხოლოდ თავის გადარჩენაზე უნდა იზრუნონ? ამ კითხვებზე გაცემული პასუხებით განისაზღვრება ჩვენი საზოგადოების ღირებულება და მათზეა დამოკიდებული ასევე ჩვენი მომავალი. ან დავიბრუნებთ მორალურ და სულიერ ღირსებას, ან სიბინძურის ორმოში ჩავეფლობით. თუკი სერიოზულად, მთელი სიცხადით არ მივუდგებით ამ საკითხებს, მაშინ „დავაკანონებთ განაწილების არსებულ მოდელს, სადაც უმცირესობა ფიქრობს, რომ უფლება აქვს მოიხმაროს ისეთი პროპორციით, რომლის განზოგადებაც შეუძლებელი იქნებოდა, რადგან პლანეტა მსგავსი მოხმარების ნარჩენებს ვერ დაიტევს“ (101).

96. სტრუქტურულ საკითხებს შორის, რომელთა მოგვარება ზემოდან შეუძლებელია და რომელიც დაუყოვნებლივ ყურადღებას მოითხოვს, არის იმ ადგილების, სივრცეების, სახლებისა და ქალაქების საკითხი, სადაც ღარიბები ცხოვრობენ და გადაადგილდებიან. ჩვენ ვიცით: ,,რა ლამაზია ქალაქები, რომლებიც გადალახავენ არაჯანსაღ უნდობლობას და აერთიანებენ განსხვავებულებს და ამ ინტეგრაციას განვითარების ახალ ფაქტორად აქცევენ! რა ლამაზია ქალაქები, რომლებიც, თუნდაც მათი არქიტექტურული დიზაინით, სავსეა სივრცეებით, რომლებიც აკავშირებენ, ურთიერთობენ და ხელს უწყობენ სხვების აღიარებას!“ (102), ამავდროულად, „ჩვენ არ შეგვიძლია არ გავითვალისწინოთ გარემოს დეგრადაციის, განვითარების ამჟამინდელი მოდელისა და ნარჩენების გადაყრის კულტურის გავლენა ადამიანების ცხოვრებაზე“ (103). მართლაც, „გარემოსა და საზოგადოების გაუარესება განსაკუთრებით პლანეტის ყველაზე დაუცველ ფენებზე მოქმედებს“.

97. ამიტომაც, ღვთის ერის ყოველი წევრის მოვალეობაა, თუმცა განსხვავებული გზით, ხმა აღიმაღლოს, რომელიც გამოაფხიზლებს, დაგმობს და, საჭიროების შემთხვევაში, დაუპირისპირდება, თუნდაც „სულელად“ მიიჩნიონ. უსამართლობის სტრუქტურები მხილებულ უნდა იქნან და სიკეთის ძალით განადგურდნენ, აზროვნების შეცვლით, ასევე მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დახმარებით, ეფექტური პოლიტიკის შემუშავებით, რომელიც ხელს შეუწყობს საზოგადოების გარდაქმნას. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ სახარება მხოლოდ ინდივიდუალურ და პირად ურთიერთობას არ გულისხმობს უფალთან. მოთხოვნა გაცილებით ფართოა: „ეს არის ღვთის სასუფეველი“ (შდრ. ლუკა 4,43); საუბარია ღმერთის სიყვარულზე, რომელიც სამყაროს ამოძრავებს. რამდენადაც ის შეძლებს ჩვენ შორის მეფობას, საზოგადოებრივი ცხოვრება იქნება ძმობის, სამართლიანობის, მშვიდობისა და ღირსების სივრცე ყველასათვის. ამიტომ, როგორც ქრისტიანულ უწყებას, ასევე გამოცდილებას, როგორც წესი, აქვს სოციალური შედეგები. მაშ, ვეძიოთ მისი სასუფეველი“.

მოამზადა მამა გაბრიელე ბრაგანტინიმ
გაგრძელება შემდეგ ნომერში

ათი შეკითხვა საიდუმლოთა და მადლის შესახებ

2. რა არის მადლი და რატომ გვჭირდება ის?

მადლი ღმრთის საჩუქარია, რომელიც არ განეკუთვნება ადამიანურ ბუნებას და, შესაბამისად, მას სწორედ ამიტომ უწოდებენ ზებუნებრივს, ანუ ადამიანურ ბუნებაზე მაღლა მყოფს. მადლი ღმრთის სამეფოს განეკუთვნება.

მარტივად რომ ითქვას, მადლი არის ღმრთის სიცოცხლე ადამიანში. მადლის წყაროა ღმერთი, — კერძოდ, იესო ქრისტეს მსხვერპლი ჯვარზე, — ხოლო მადლი აბსოლუტურად აუცილებელია მარადიული სიცოცხლის მოსაპოვებლად. მადლი ეხმარება ადამიანებს, მიაღწიონ ცხოვრების ამ საბოლოო მიზანს. მადლი ყველასათვის ხელმისაწვდომია საყოველთაო ხსნის ღმრთისმიერი ნების გამო: კათოლიკე ეკლესიის მოძღვრებით, ღმერთი ყველა ადამიანს სთავაზობს საშუალებასა და შესაძლებლობას, იყოს ხსნილი. მოხვდება თუ არა ცალკეული ადამიანი სამოთხეში ან ჯოჯოხეთში, მთლიანადაა დამოკიდებული მის პირად გადაწყვეტილებებსა და განხორციელებულ ქმედებებზე ცხოვრების განმავლობაში. ღმერთი ყველას აჯილდოებს ,,სათანადო მადლით“, რაც საჭიროა ხსნისათვის, მაგრამ ეს მხოლოდ იმათთვის ხდება ,,ქმედითი მადლი“, ვინც თავისუფლად მიიღებს და ითანამშრომლებს ამ მადლთან. არავინაა წინასწარ განწირული ჯოჯოხეთისათვის ან წარწყმედისათვის. ღმერთს სურს, რომ ყველა ადამიანი მოხვდეს სამოთხეში, მაგრამ რაკი ყოველ ადამიანს აქვს თავისუფალი ნება, ღმერთი პატივისცემით ეკიდება ადამიანის პირად არჩევანსა და გადაწყვეტილებებს, — მაშინაც კი, თუკი, ცოდვის გამო, ადამიანი გადაწყვეტს, უარყოს ღმერთი, მისი მადლი, სამოთხე.

ადამიანი დამოკიდებულია ღმერთზე. ადამიანის ყოველი ამოსუნთქვა ღმრთის საჩუქარია. ცხადია, უმაღლეს უნარებსაც კი, — როგორიცაა, მაგალითად, ცოდნა, — განაპირობებს ღმერთი. კატექიზაციის მეცადინეობებიდან, ღრმა სიყმაწვილიდანვე, ყოველ კათოლიკეს უსწავლია და ახსოვს, რომ ადამიანი შექმნილია იმისათვის, რათა შეიცნოს და უყვარდეს ღმერთი, ხოლო თავისი მიწიერი ცხოვრების განმავლობაში მოემზადოს მასთან ყოფნისათვის სამარადისოდ. ეს შესაძლებლობა მოითხოვს მადლის ზებუნებრივ ნიჭს, — როგორც ღმრთის შესახებ მარადიულ ჭეშმარიტებათა ჩასაწვდომად, ისე ადამიანის ხსნის ღმრთისმიერი გეგმის გასაგებად. პირველქმნილი ცოდვისა და დაცემული თუ დასერილი ბუნების გამო ადამიანები ვერ ფლობენ სიყვარულის იმგვარ უნარს, როგორიც მათ თავდაპირველად მიანიჭა ღმერთმა. ამიტომ, მიწიერზე აღმატებული ყოველი უნარი ღმრთის მიმართ სიყვარულისა არის მადლის ზებუნებრივი ნიჭი.

პირველქმნილი ცოდვა აზიანებს ადამიანურ ბუნებას იმით, რომ ბინდავს გონებას, ასუსტებს ნებას და აწეწავს განცდებსა თუ ვნებებს, რის შედეგად, ადამიანი აღმოჩნდება დაუცველი ცოდვისა და ცდუნების მიმართ. ღმრთაებრივი მადლი აღმოფხვრის ადამისეულ და ევასეულ დაცემას. სწორედ მადლი კურნავს დასერილ ადამიანურ ბუნებას გონების გაცისკროვნებით, ნების განმტკიცებით, განცდებისა და ვნებების წარმართვით. თვით სიკეთის ქმედებისა და ქველმოქმედების სურვილი განპირობებულია ღმრთაებრივი მადლის ნიჭით. დაბოლოს, ცოდვისაგან თავის დაღწევას, ცოდვის თავიდან აცილებას, კიდევ, მიტევების, შეწყალების, ღმრთაებრივ მცნებათა დაცვის უნარსაც კი განაპირობებს მადლი.

ეკლესიის მოძღვარი, წმიდა თომა აკვინელი (1225-1274), ამბობს, რომ ,,მადლი აშენებს ბუნებაზე და სრულყოფს მას“. ამ სიტყვებით იგულისხმება, რომ მხოლოდ მადლი აღამაღლებს ადამიანურ ბუნებას.

ღმრთის თანამყოფობით მტკიცედ დგომისათვის, ცოდვის თავიდან ასაცილებლად, სარწმუნოებრივი შეუპოვრობისთვის აუცილებელია მადლი, მაგრამ ადამიანს, თავისუფალი ნების გამო, ყოველთვის შეუძლია, დაკარგოს მადლი.

მადლის მეშვეობით, ადამიანი ხდება ღმრთის შვილი, ქრისტეს მისტიკური სხეულის — ეკლესიის წევრი და ზეციური ტახტის მემკვიდრე.

მადლი სრულიად გადამწყვეტია სიცოცხლის ბოლოს, რაკი ის ამზადებს სულს ღმერთთან შესახვედრად. იმისათვის, რათა ადამიანმა მოიპოვოს ხსნა, მას უნდა ჰქონდეს საბოლოო შეუპოვრობის მადლი. იესო ამბობს: ,,ვინც ბოლომდე ისწრაფვის, იგი გადარჩება“ (მათე 24:13).

კათოლიკურ სულიერებაში, წმიდა იოსები არის ნეტარი სიკვდილის მფარველი წმიდანი, — იგი შუამდგომლობს ღმერთთან, რათა ამ ცხოვრებიდან საბოლოო გადასვლისას, გარდაცვალებისას, ადამიანმა შეინარჩუნოს შეუპოვრობა.

შეადგინა მერაბ ღაღანიძემ

ვილოცოთ მოწოდებულთათვის

კვირას, 26 აპრილს, სასულიერო მოწოდებებისათვის ლოცვის 62-ე მსოფლიო დღე აღინიშნა. „მოწოდება - ვკითხულობთ განსვენებული პაპი ფრანცისკეს მიერ მომზადებულ გზავნილში, - ის ძვირფასი ნიჭია, რომელსაც ღმერთი ადამიანის გულში თესავს, ესაა მოხმობა, რომ დავძლიოთ საკუთარი თავი და სიყვარულისა და მსახურების გზას დავადგეთ. ეკლესიაში ყოველი მოწოდება - იქნება ეს საერო, ხელდასხმული მღვდელი თუ ბერმონაზვნული ცხოვრება - იმედის ნიშანია, რითაც ღმერთი ასაზრდოებს სამყაროს და თითოეულ თავის შვილს. ეკლესია ცოცხლობს და ნაყოფს იძლევა მაშინ, როდესაც ახალი მოწოდებები იბადება. და სამყაროც ეძებს, - ხშირად გაუცნობიერებლად, - იმედის მოწმეებს, რომლებიც თავიანთი ცხოვრებით აუწყებენ, რომ ქრისტეს მიმდევრობა სიხარულის წყაროა. ამიტომ დაუცხრომლად უნდა ვევედროთ უფალს, რათა ახალი მუშაკები მოუვლინოს თავის სამკალს, იმ რწმენით, რომ იგი სიყვარულით კვლავ მოგვიწოდებს“. გთავაზობთ რამდენიმე ამბავს მოწოდების შესახებ, რათა გავაგრძელოთ ლოცვა და არ დავკარგოთ იმედი.

პაბლო გარსია: მოდელი და ინფლუენსერი სემინარიაში შედის

მას 650 000-ზე მეტი გამომწერი ჰყავს Instagram-ზე. თუმცა, 36 წლის პაბლო გარსიამ, რომელიც სოციალურ ქსელში ცნობილია, როგორც @pablogarna, გადაწყვიტა, 2025 წელს გამომწერებს დაემშვიდობოს და ყველასათვის მოულოდნელ გზას დაადგეს: გახდეს მღვდელი. მოდელი და ინფლუენსერი მადრიდსა და გრანადას შორის ცხოვრობს და მოტოციკლებით არის გატაცებული. სოციალურ ქსელში კარიერის მწვერვალზე მყოფმა მან ყველაფერი მიატოვა, რათა თავის მოწოდებას გაჰყოლოდა. პაბლო გარსია აცნობიერებს, რომ მის გადაწყვეტილებას „სამყარო ალბათ ვერ გაიგებს: კომფორტული ცხოვრება, სტაბილურობა, გარკვეული ფუფუნება და ნაკლები საზრუნავი“, მაგრამ იგი იმეორებს: რა აზრი აქვს ამ ყველაფერს, თუ ჩემი გული სხვა სიცოცხლეს ელოდება და ელტვის? უარს ვამბობ ამქვეყნიურ სიამეზე. არ ვიცი, დავბრუნდები თუ არა რამდენიმე თვეში. ვნახოთ. მანამდე კი, ამ სექტემბერს, ჩვეულებრივ გავაგრძელებ ჩემი ცხოვრების გაზიარებას და ვუპასუხებ ნებისმიერ კითხვას, რომელიც შეიძლება ამ ვიდეოს ნახვის შემდეგ გაჩნდეს. ასევე, რამდენიმე ბრენდთან მაქვს ვალდებულებები, რომლებიც უნდა შევასრულო და მინდა, რომ ყველაფერი კარგად გავაკეთო, ისე, როგორც აქამდე ვაკეთებდი“. ის თავის მიმდევრებს სთხოვს: „ილოცეთ ჩემთვის, რომ არაფერს დავემალო, რომ ჩემი თავდადება იყოს სრული; მაშინაც კი, თუ შედეგს ან ნაყოფს ვერ დავინახავ, შევძლო თავს შევუძახო: მხოლოდ ღმერთია საკმარისი. მადლობა ყველაფრისათვის.“ დაბოლოს, გარსია ემოციურად ასკვნის: „რამდენიმე წელიწადში, ღვთის ნებით, მღვდელი გავხდები“.

ედოარდო, ყველაზე მიმზიდველი მამაკაცი იტალიაში

ედოარდო სანტინი 2019 წელს „იტალიაში ყველაზე მიმზიდველ მამაკაცად“ გამოცხადდა. მას ელოდა წარმატებული კარიერა: ცეკვა, სამსახიობო ხელოვნება და მოდა. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ანტიკლერიკალურ ოჯახში

აღიზარდა, იგი აღნიშნავდა: „ყოველთვის განვიცდიდი შინაგან ბრძოლას. ყველაფერში, რასაც ვაკეთებდი, ვგრძნობდი, რომ უფრო ღრმა აზრის პოვნა მსურდა“. აგნოსტიკოსმა მშობლებმა და კოვიდის დროს ათეისტ პროფესორთან პაექრობამ მასზე ღრმა გავლენა მოახდინა. რამდენიმე მღვდელთან ერთად და ფლორენციის მთავარეპისკოპოსის, კარდინალ ბეტორის ხელმძღვანელობით, მან მოისურვა სამღვდელო მოწოდებაში ჩაღრმავება და 2021 წელს სემინარიაში შესვლა ითხოვა. ვიღაცამ ხუმრობითაც აღნიშნა: „რა დასანანია, ასეთი მიმზიდველი მღვდელი“.

ფილიპე მალრინი, ფეხბურთელი, რომელიც 2017 წელს დომინიკელი მღვდელი გახდა

1978 წელს ბელფასტში დაბადებულ ფილიპე მალრინს ინგლისურ ფეხბურთში ხანგრძლივი ისტორია აქვს, იგი „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და „ნორვიჩ სიტიში“ თამაშობდა. ჰქონდა საოცნებო ცხოვრება, ფული, ფუფუნება და პრივილეგიები: ზოგიერთისათვის ეს მირაჟია, მოტივი, რომ გამოსცადო ფეხბურთის ლატარია და იღბალს მიენდო, თუმცა არა მალრინისთვის. ირლანდიელისათვის ეს ყველაფერი ამაო, ზედაპირული და „მოსაწყენიც“ კი იყო, იმდენად, რომ 2008 წელს, სულ რაღაც 31 წლის ასაკში, მან გადაწყვიტა ფეხბურთიდან წასვლა, რათა ბედნიერება სულ სხვაგან ეძებნა, „ხელახლა აღმოეჩინა საკუთარი თავი და რწმენა“. მრავალწლიანი მოხალისეობის შემდეგ მან თავისი მოწოდება იპოვა, დომინიკელთა ორდენში შევიდა და 2017 წელს მღვდლად ეკურთხა.

ლოცვა მოწოდებებისათვის 2026



ღმერთო, მამაო გულმოწყალებისაო, რომელმაც ქრისტეში მოგვანიჭე ჭეშმარიტი იმედი, ვლოცულობთ შენი მომლოცველი ეკლესიისათვის. შეეწიე მოწოდებაში აღმოცენებულ ყველა თესლს, რომელსაც გულუხვად თესავ შენი ერის მინდვრებში. გაუხსენ გული ახალგაზრდებს შენი ლამაზი ოცნების მიმართ, რათა სიხარულით აირჩიონ შენდამი მსახურება თავიანთ ძმებსა და დებში. მოგვანიჭე მადლი, რათა ვიყოთ „მშვიდობისმყოფელნი“ და ჩვენი ცხოვრებით დავამოწმოთ, რომ იესოს მიმდევრობა ჭეშმარიტი ბედნიერებისაკენ მიმავალი გზაა. ღვთისმშობელო მარიამ, დედაო კეთილი გზისა, მეგზურობა გაუწიე მას, ვინც შენ გეძებს. ამენ.

მოამზადა მამა გაბრიელე ბრაგანტინიმ

ხოსე გრეგორიო ერნანდესი

ხოსე გრეგორიო ერნანდესი (José Gregorio Hernández), პირველი ვენესუელელი კათოლიკე წმიდანი, დაიბადა 1864 წლის 26 ოქტომბერს ვენესუელაში, ტრუხილიოს შტატში მდებარე (esp. Estado Trujillo) პატარა ქალაქ ისნოტუში. იგი მონათლეს 1865 წლის 30 იანვარს. დედის მხრიდან, რომელიც გამოჩენილი ესპანური ოჯახიდან იყო, ხოსე გრეგორიო ენათესავებოდა ცნობილ კარდინალს, ფრანსისკო ხიმენეს დე სისნეროსს, XV საუკუნის თვალსაჩინო მოღვაწეს, მამის მხრიდან კი - ფრანსისკო ფერბერ-კორდეროს, კათოლიკე ეკლესიის წმიდანს. მან ბავშვობა გაატარა მშობლიურ ქალაქში, აღიზარდა ოჯახში, სადაც ქრისტიანულ ღირებულებებს იცავდნენ. ღვთისმოსავმა, ღრმად მორწმუნე დედამ იგი ბავშვობიდანვე აზიარა ქრისტიანობის საფუძვლებს.

ხოსემ სიყმაწვილიდანვე განსაკუთრებული ინტელექტი და სხვებისადმი მსახურების ძლიერი სურვილი გამოავლინა. იგი შევიდა იმ დროს ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ სკოლაში (Colegio Villegas), რომელსაც მაშინ დოქტორი გილერმო ტელ ვილეგასი ხელმძღვანელობდა, შემდგომში ვენესუელის პრეზიდენტი. ვილეგასის თქმით, რომელიც მასთან მეგობრობდა, ხოსე გრეგორიოს დიდად არ უყვარდა თანაკლასელებთან თამაში და თავისუფალ დროს კითხვაში ატარებდა. ის კიდეც მუშაობდა, პირველკლასელებს არითმეტიკას ასწავლიდა. 1882 წელს ხოსე გრეგორიომ კოლეჯი დაასრულა და მიიღო ფილოსოფიის ბაკალავრის ხარისხი. შემდეგ კარაკასში, ვენესუელის მთავარ უნივერსიტეტში შეისწავლა მედიცინა. იგი საუბრობდა ინგლისურ, ფრანგულ, პორტუგალიურ, გერმანულ და იტალიურ ენებზე, თავისუფლად ფლობდა ლათინურ და ებრაულ ენებს. პროფესორები მას გამორჩეულ და გულმოდგინე სტუდენტად ახასიათებდნენ. ვენესუელის მთავრობამ ხოსე გრეგორიოს ევროპაში სწავლის გასაგრძელებლად გრანტი მიანიჭა და მან განათლება პარიზში, მადრიდსა და ნეაპოლში განაგრძო, სადაც დახელოვნდა ბაქტერიოლოგიაში, იმ დროისათვის მედიცინის ახალ დარგში. ვენესუელაში მან პირველმა გამოაქვეყნა ნაშრომი ამ დისციპლინაში. მისი სამედიცინო კარიერა ნოვატორული იყო. მან ვენესუელაში თანამედროვე სამედიცინო მეთოდი დანერგა, მოამზადა მომავალი ექიმები და ქვეყნის პირველი ექსპერიმენტული ფიზიოლოგიის ლაბორატორიის დაარსებაში მიიღო მონაწილეობა. მიუხედავად იმისა, რომ ხოსე გრეგორიოს შეეძლო



მომგებიანი პრაქტიკისათვის მიეყო ხელი, მან თავი მიუძღვნა ღატაკთა და უქონელთა მკურნალობას, რადგან მისი გული სწორედ ღარიბებს ეკუთვნოდა. იგი ხშირად უარს ამბობდა გასამრჯელოზე და პაციენტებისათვის მედიკამენტებსაც კი ყიდულობდა, რის გამოც მას მეტსახელად „ღარიბთა ექიმი“ შეარქვეს. დოქტორი ერნანდესი განსაკუთრებით ცნობილი გახდა 1918 წელს კარაკასში ესპანური გრიპის დიდი ეპიდემიის დროს ავადმყოფების დასახმარებლად გაწეული თავდაუზოგავი შრომის წყალობით.

ხოსე ერნანდესი ღრმა სულიერებით გამოირჩეოდა. წმიდა ფრანცისკე ასიზელის ქარიზმით შთაგონებულმა ორგზის სცადა გამხდარიყო მღვდელი, მაგრამ სუსტი ჯანმრთელობის გამო ეს ვერ შეძლო. თავდაპირველად, 1908 წელს, ის იტალიაში, ქალაქ ლუკას მახლობლად, კარტუზიელთა მონასტერში შევიდა, სადაც ათი თვე დაყო მკაცრ მარტოობაში, მონანიებასა და ლოცვაში. მაგრამ მონასტრული ცხოვრების წესმა და მწირმა ულუფამ იმდენად შეარყია მისი ჯანმრთელობა, რომ

მონასტრის წინამძღვარმა იგი აიძულა, კარაკასში დაბრუნებულიყო, რათა ემკურნალა და გაეგრძელებინა სწავლება და სამედიცინო პრაქტიკა. ხოსე გრეგორიო ასეც მოიქცა, თუმცა მონაზვნური ცხოვრებისადმი ლტოლვა არ განელებია. 1913 წელს იგი რომში გაემგზავრა ღვთისმეტყველების შესასწავლად პაპის ლათინურამერიკულ კოლეჯში, მაგრამ მარადიული ქალაქის კლიმატმა ფილტვების დაავადება განუვითარდა და იგი იძულებული გახდა კარაკასში დაბრუნებულიყო, ისე რომ, ეს სურვილი ვერ აისრულა. აქ ის საერო ფრანცისკელთა ორდენის აქტიური წევრი გახდა. მას მეტად აღარ უცდია თავი მიეძღვნა მონაზვნური ცხოვრებისათვის; საბოლოოდ მიხვდა, რომ მისი ნამდვილი მოწოდება მედიცინის მეშვეობით ღმერთის მსახურება იყო. მსგავსად წმიდა მამებისა, რომლებიც წლების განმავლობაში ცდილობდნენ ღვთაებრივი ჭეშმარიტების სისავსეს ჩასწვდომოდნენ, ხოსე გრეგორიო, თავისი პროფესიის წყალობით, ავადმყოფებში ხედავდა ტანჯულ ქრისტეს, რომელსაც ის უანგაროდ ემსახურებოდა პაციენტების სახით. იგი, ჩვეულებისამებრ, ყოველდღე დილის ხუთ საათზე დგებოდა, ,,Angelus"-ის ლოცვის შემდეგ ახლომდებარე ეკლესიაში მიდიოდა წირვაზე და ეზიარებოდა.

1919 წლის 29 ივნისს ხოსე ერნანდესი ტრაგიკულად დაიღუპა, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, 55 წლის ასაკში; იგი ავადმყოფისათვის წამლის მისატანად მიდიოდა, ჩქარობდა და ამიტომ ვერ შენიშნა მანქანა, როდესაც ქუჩის მეორე მხარეს გადადიოდა. ძლიერმა შეჯახებამ იგი შორს გადაისროლა... ,,წმიდაო ქალწულო!" - აღმოხდა მას უკანასკნელად. მისმა მოულოდნელმა გარდაცვალებამ საზოგადიების დიდი მწუხარება გამოიწვია კარაკასსა და მთელ ქვეყანაში.

ხოსე გრეგორიო ერნანდესის წმიდა ნაწილები დასვენებულია კარაკასში, კანდელარიის ღვთისმშობლის ეკლესიაში (Iglesia de Nuestra Señora de la Candelaria, Caracas), რომელიც 1700-იან წლებში აიგო კანარის კუნძულებიდან ვენესუელაში ემიგრირებული ოჯახების მიერ, რომელთა შორის ერნანდესის ოჯახიც იყო. დაკრძალვის ცერემონიაში ოცი ათასამდე ადამიანი მონაწილეობდა, რაც იმ დროს კარაკასის მოსახლეობის დაახლოებით მეოთხედს შეადგენდა.

2021 წელს პაპმა ფრანცისკემ ხოსე გრეგორიო ერნანდესი ნეტარად შერაცხა. ხოლო 2025 წლის 19 ოქტომბერს, პაპ ლეონ XIV-ის მიერ იგი წმიდანად იქნა აღიარებული. მისი მოხსენიების დღეა 26 ოქტომბერი.

გამოქვეყნებულია დოქტორ ხოსე გრეგორიო ერნანდესის თერთმეტი სამეცნიერო ნაშრომი. მას ეკუთვნის ხუთი ლიტერატურული ნაწარმოები, რომელთაგან ერთი, „ნამდვილი ავადმყოფობა წმიდა ტერეზა იესოსი", დაუმთავრებელი დარჩა.

ხოსე გრეგორიო ერნანდესის ცხოვრება ნათელი მაგალითია იმისა, რომ სიწმინდე შეიძლება სრულად გამოვლინდეს ამქვეყნად შრომისა და მსახურების მეშვეობით.

მოამზადა ვერიკო ნოზაძემ

შინმოვლის საჭიროებები და განვითარების პერსპექტივები

შინმოვლა სამედიცინო, სარეაბილიტაციო, ფსიქოლოგიური და სოციალური მომსახურებების კომპლექტია, რომელიც ხანგრძლივად მიეწოდება ბენეფიციარს ბინაზე მისვლით, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის სტაბილიზაციისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. შინმოვლის მხარდამჭერი სერვისის მოსარგებლეთა მთავარ კონტინგენტს ხანდაზმულები წარმოადგენენ.

მიმდინარე წლის 9 მარტს, დასავლეთ საქართველოს შინმოვლის პროექტის ფარგლებში, ბათუმში გაიმართა კონფერენცია თემაზე ,,შინმოვლის პროგრამა - არსებული საჭიროებები და განვითარების პერსპექტივები", რომლის მიზანი შინმოვლის სფეროს ძირითადი გამოწვევების განხილვა და დაინტერესებულ მხარეებს შორის მულტისექტორული თანამშრომლობის შესაძლებლობების განსაზღვრა გახლდათ. კონფერენცია გახსნა საქართველოს კარიტასის აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი მეხატიშვილმა, რომელმაც კარიტასის მისიაზე, ფასეულობებსა და სტრატეგიულ მიმართულებებზე ისაუბრა და ფონდის საქმიანობაში შინმოვლის მხარდამჭერი სერვისის განსაკუთრებულ უპირატესობას გაუსვა ხაზი.

შინმოვლის, როგორც სამედიცინო და სოციალური მხარდაჭერის კომპლექტისა და ზრუნვის სექტორის უმნიშვნელოვანესი სერვისის განვითარების როლისა და მნიშვნელობის შესახებ მოხსენებით წარდგა საქართველოს კარიტასის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის მენეჯერი გაიოზ ყუბანეიშვილი, ხოლო შინმოვლის სფეროში პროფესიული განათლებისა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ პრეზენტაცია წარადგინა კარიტასის სასწავლო-საკონსულტაციო ცენტრის ხელმძღვანელმა მაია მიქაძემ. შეხვედრის დასკვნით სესიაზე, თემის აქტუალობიდან და გამოკვეთილი საჭიროებებიდან გამომდინარე, შინმოვლის პროგრამის პარტნიორმა ორგანიზაციებმა და პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარი ოჯახების წარმომადგენლებმა ინტერაქციულ ფორმატში იმსჯელეს სფეროში არსებულ გამოწვევებსა და თანამშრომლობის პერსპექტივებზე.

საქართველოს კარიტასი სამომავლოდაც აქტიურად განაგრძობს ქსელურ მუშაობას, ინფორმაციის გაცვლასა და გამოცდილების გაზიარებას პარტნიორ ორგანიზაციებთან საქართველოში შინმოვლის განვითარების მხარდაჭერის და ქვეყნის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სისტემაში მისი უპირატესობის მიზნით. სწორედ არსებული პოტენციალისა და რესურსების გაერთიანებამ უნდა მოიტანოს მთავარი შედეგი, ერთი მხრივ, ხელი შეუწყოს შინმოვლის მოსარგებლე პირთა რაოდენობის ზრდასა და სამიზნე გეოგრაფიული არეალის გაფართოებას, ხოლო, მეორე მხრივ, უზრუნველყოს შინმოვლის განმახორციელებელი მრავალდარგობრივი პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება და მიმდინარე სერვისის ხარისხობრივი გაუმჯობესება.

ილია გუჩმანიძე

ცვლილება თითოეულ ჩვენგანს ძალუძს

ცვლილება თითოეულ ჩვენგანს ძალუძს. ერთ თბილ სიტყვას, სულ მცირე ყურადღების გამოჩენას შეუძლია ადამიანის ცხოვრება სამუდამოდ შეცვალოს უკეთესობისაკენ. წლების წინ, საქართველოს კარიტასის ინიციატივით, სამცხე-ჯავახეთში სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის ეწყობოდა ბანაკები, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მათ სოციალიზაციას, ფორმალური თუ არაფორმალური განათლების მიღებას და ასე შემდეგ. ჩვენი თანამშრომელი იხსენებს:

,,ბანაკის ჩასატარებლად ბავშვების მშობლების ხელმოწერა გვჭირდებოდა, ამიტომ ერთ დღესაც ბავშვებს მშობლებთან ხელშეკრულების ფურცლები გავატანეთ, რათა მეორე დღეს ხელმოწერილი დაებრუნებინათ. მახსოვს ერთი გოგონა, ულამაზესი მწვანე თვალებით. როდესაც მან ფურცელი დამიბრუნა, აღმოვაჩინე, რომ ხელმოწერილი არ იყო და ვკითხე ამის მიზეზი. მითხრა, რომ მშობლები არ ჰყავდა, ბებიასთან და ბაბუასთან ცხოვრობდა, მათ კი წერა-კითხვა არ იცოდნენ. შესაძლოა, სხვა ადამიანს ეს ამბავი დასრულებულად მიეჩნია, თუმცა ამ გოგონას თვალებში ვხედავდით ძლიერ სურვილს შეებიჯებინა ახალ სამყაროში, გადავწყვიტეთ, რომ სახლში გავყოლოდით და გაგვეცნო მისი ბებია და ბაბუა. დიდი სიხარულით დაგვხვდნენ, მადლობას გვიხდიდნენ,

რადგან მათ შვილიშვილს ვაძლევდით განათლების მიღების შესაძლებლობას. ხელშეკრულების ფურცელზე თავისებური მონიშვნები გაგვიკეთეს, გოგონა კი სიხარულით მივიღეთ ჩვენს პატარა ოჯახში.

წლების შემდეგ, ქალაქგარეთ ერთ-ერთ შეხვედრაზე, ჩემთან ერთი გოგონა მოვიდა. თავიდან ვერ ვიცანი, შემდეგ კი მისმა კაშკაშა, მწვანე თვალებმა მოგონებები ამომიტივტივა. მითხრა, რომ წლების წინ იმის დამსახურებით, რომ ჩვენს ბანაკში მიიღო მონაწილეობა, დაფიქრდა, თუ რისი კეთება სურდა ცხოვრებაში და მიხვდა, რომ ჩვენსავით ადამიანების დახმარება უნდოდა. კარგად სწავლა დაიწყო და სამცხე-ჯავახეთში კარიტასის მოხალისე გახდა.

ჩვენი ბანაკი მხოლოდ ათი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა, ამ გოგონას ცხოვრება კი სამუდამოდ შეიცვალა“.

მოამზადა მარიამ ლობჟანიძემ

ტოლერანტობისა და კულტურის განახლებული კომისია

ტოლერანტობისა და კულტურის კომისია სამხრეთ კავკასიაში ლათინური წესის სამოციქულო ადმინისტრატორის კურიაში დაახლოებით 25 წლის წინ შეიქმნა. მისი მიზანია ქვეყანაში მოქმედ სხვადასხვა ქრისტიანულ კონფესიას შორის დიალოგის წარმართვა, ყოველწლიურად ქრისტიანთა შორის ერთიანობის ლოცვების ორგანიზება, საქართველოში კათოლიკური მემკვიდრეობის კვლევა და სხვადასხვა ეკლესიათშორისი და კულტურული ღონისძიებების ორგანიზებისათვის ხელშეწყობა. მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ტოლერანტობისა და კულტურის კომისიის თაოსნობით ტარდებოდა ქრისტიანთა ერთობისათვის ყოველწლიური ლოცვები, 2018 წლიდან კი საერთაშორისო სიმპოზიუმები ,,კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში"; კომისიამ დიდი წვლილი შეიტანა საქართველოში ძმა დემეტრე თბილელის პოპულარიზაციაში. ასევე პერიოდულად ტარდებოდა სხვა თემატური შეხვედრები, რომელთა მიზანი ეკლესიათშორისი და კულტურული ურთიერთობების განმტკიცება გახლდათ.

ტოლერანტობისა და კულტურის კომისია რამდენჯერმე განახლდა, უფრო მრავალფეროვანი გახდა მისი საქმიანობაც. მიმდინარე წელსაც განხორციელდა ცვლილებები. სხვადასხვა მიზეზთა გამო კომისია საკუთარი სურვილით დატოვეს მისმა დიდი ხნის წევრებმა, ბატონმა მერაბ ღაღანიძემ და ქალბატონმა ნაზი კვარჩიამ. ახალი წევრები კი თავიანთი ცხოვრებისეული და პროფესიული გამოცდილებითა და სათანადო კომპეტანციებით ახალ სიმაღლეზე აიყვანენ კომისიის სამომავლო საქმიანობას.

მიმდინარე წლის 25 მარტს კურიაში ჩატარდა კომისიის სხდომა, რომელიც ეპისკოპოსმა ჯუზეპე

პაზოტომ გახსნა. მან მადლობა გადაუხადა ყოფილ წევრებს გაწეული საქმიანობისათვის და დაამტკიცა კომისიის განახლებული შემადგენლობა, აკურთხა და უსურვა მათ ნაყოფიერი საქმიანობა, მოუწოდა, რომ უწინარესად ილოცონ ქრისტიანთა ერთობისათვის. კომისიის თავმჯდომარემ, მამა გაბრიელემ განსახილველად წარმოადგინა კომისიის ახალი წესდება, კომისიამ დაამტკიცა სამდივნო, რომელიც სხდომებს შორის ორგანიზებას გაუწევს მის მუშაობას, ასევე, განიხილეს ის ძირითადი მიზნები, რომელთა განხორციელება იგეგმება წელს.

2026 წელი მართლაც გამორჩეულია ღირსშესანიშნავ მოვლენათა იუბილეებით, აქვე გთავაზობთ იმ ღონისძიებათა ჩამონათვალსაც, რომელთა მოსამზადებლადაც აქტიურად ჩაება ტოლერანტობისა და კულტურის კომისია: საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების 1700 წელი, წმ. ფრანცისკე ასიზელის გარდაცვალების 800 წელი და პაპ ფრანცისკეს საქართველოში ვიზიტის 10 წელი. ამ ისტორიული თარიღებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები მთელი წლის განმავლობაში ჩატარდება საქართველოს კათოლიკურ სადეკანოებსა და სამრევლოებში. ღონისძიებების სულისჩამდგმელი წმიდა საყდრის სადესპანო და სამოციქულო ადმინისტრაცია იქნება, ხოლო უშუალო კოორდინაციას ტოლერანტობისა და კულტურის კომისია გაუწევს.

ნუგზარ ბარდაველიძე

ჩვენი ეკლესიის ცხოვრება

აპრილი

1	დიდი ოთხშაბათი, მირონის კურთხევის წირვა თბილისის საკათედრო ტაძარში
2	დიდი ხუთშაბათი, უფლის სერობის წირვა
3	წითელი პარასკევი, მძიმე მარხვის დღე, შესაწირი წმ. მიწისათვის
4	დიდი შაბათი, საპასექო ღამისთევა
5	აღდგომა
9	ძმა დემეტრე თბილელის გახსენება (+1321)
12	პასექის მეორე კვირადღე გულმოწყალებისა, ივლიტის საკრებულოს დღეობა
23	მ. დამიანე სააკაშვილის გახსენება (+1943)
25	წმ. მარკოზ მახარებელი
26	პასექის IV კვირადღე, ლოცვა მღვდლობისაკენ მოწოდებულთათვის
29	წმ. ეკატერინე სიენელი, ევროპის მფარველი

სარჩევი

ეპისკოპოსის სააღდგომო მილოცვა 2
რედაქტორის გვერდი ... 3-4
კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში..... 5-6
ჩვენი ეკლესია..... 7-8
ეკუმენური გვერდი..... 9-10
ჩანართი:..... I-IV
კათოლიკური პასუხი..... 11
გზა კათოლიკე ეკლესიისაკენ..... 12-13
ახალი წმიდანები 14-15
სოციალური გვერდი - Caritas Georgia 16-17
ინფორმაცია..... 18-19

ჟურნალ „საბას“ რედაქცია გილოცავთ ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს, ბრწყინვალე აღდგომას!
რედაქცია ასევე ულოცავს მართლმადიდებელ მრევლს აღდგომის დღესასწაულს, რომელსაც ისინი აღნიშნავენ 12 აპრილს.

განსვენება საუკუნო მიანიჭე მათ, უფალო!

მანანა კაჭკაჭაშვილი
* 25. 03. 1959, არალი
† 21. 12. 2025, არალი

ეკატერინე (ზინა) აფრიამაშვილი
* 27. 11. 1943, არალი
† 01. 01. 2026, არალი

თამაზ ჩილინგარაშვილი
* 25. 06.1962, არალი
† 08. 01. 2026, არალი

ქრისტინა (თამარ) პეტაშვილი
* 10. 07. 1939, უდე
† 21. 01. 2026, უდე

ნინო გზირიშვილი
* 01.01.1933, უდე
† 27. 01. 2026, უდე

მაყვალა აღლემაშვილი
* 22. 01. 1942, ვალე
† 26. 01. 2026, ვალე